განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, მაგისტრატურა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
„28“ დეკემბერი 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
„29“ მარტი 2020 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამოქალაქო ინჟინერიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0732
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული სამაგისტრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №41, 12/03/2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ბალავაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ბარათაშვილი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	

ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

პროგრამა „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“ აკრედიტებულია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 41, 12/03/2012) და ხელახალი აკრედიტაციისათვის წარმოდგენილ იქნა გადამუშავებული ფორმით. პროგრამა კომპონენტთა ერთობლიობა 120 კრედიტს შეადგენს. საგანმანათლებლო პროგრამაში, პროგრამის ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილია კომპონენტის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ყოველივე ეს კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სწავლება ეფუძნება სააუდიტორიო, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. სააუდიტორიო სამუშაოს ფორმებს: ლექცია, ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობები, სწავლის პროცესში შემთხვევის ანალიზის, დისკუსიის, დებატების, წერითი მუშაობის, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების, დემონსტრირების, ანალიზის და სინთეზის მეთოდებს.

სპეციალობის სასწავლო კურსებში განახლებულია ლიტერატურა, შეცვლილია შეფასების კომპონენტები და მეთოდები.

საექსპერტო შეფასებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის დამუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, ცვლილებები განხორციელებულია კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებლებისაგან მიღებული ინფორმაციის განალიზების ასევე დარგის მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი ეთანხმება თანამედროვე მოთხოვნებს და დამუშავებულია სწავლის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის თანმხლები წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად მოიცავს საჭირო ინფორამციას და ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. ინტერვიუების დროს გამოჩნდა

ხელმძღვანელობის, პერსონალის, სტუდენტთა და კურსდათმთავრებულთა ჩართულობა და დაინტერესებულობა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით №1212383 (18.12.2020) 2020 წლის 28 დეკემბერს განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახემწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა"-ს საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით და მოიცვა 2020 წლის 28 დეკემბრის 10.00 -:- 18.00 პერიოდი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაშ ჩართულ მხარეებს.

პროგრამის შეფასებისას, აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ პირვანდელ აკრედიტაციის დასკვნაში იყო რეკომენდაციები გაწერილი და ასევე, საბჭოს მიერ მოცემულ მითითებებზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანამათლებლო პროგრამა "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა", რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი:

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   1.1. პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
   1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
   2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3. სასწავლო კურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.6. სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2. აკადემიური, სამეცნიერი და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3. მატერიალური რესურსი - პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინასური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;.

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2. გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3. პროგრამის მონოტორინგი და პერიოდული შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია პროგრამის მე-10 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად მიღწევადი და რეალისტური იყოს.

- არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ უცხო ენას აბარებს სტუდენტი და არც ამ ენის ცოდნის დონეა მითითბული. რეკომენდებულია ეს ყოველივე აღნიშნულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში;
- აუცილებელია გასწორდეს აღწერით ნაწილში მითითებული ხარვეზი, ინგლისური ენის სასწავლო კურსებთან მიმართებით;
- გასწორდეს პროგრამაში არსებული ხარვეზი და სამაგსიტრო ნაშრომის წინაპირობაში მიეთითოს, რომ ნაშრომის დაცვისთვის სავალდებულოა ყველა სასწავლო კომპინენტის (90 კრედიტის) გავლა.
- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სასწავლო კურსებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის წავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების *ინგლისური ენა B2.1* და *ინგლისური ენა B2.2* სილაბუსში დეტალურად გაიწეროს შეფასების მეთოდები და მათი გასაზომი შეფასების კრიტერიუმები, ასევე რეკომენდირებულია *საზოგადოებასთან ურთიერთობების* სასწავლო კურსში დეტალურად გაიწეროს დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა. ასევე გასწორდეს შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზები შემდეგ სასწავლო კურსებში: *საშენი მასალების სპეცკურსი*, *ნაგებობათა გამოკვლევა და გამოცდა*, *სეისმომედეგობა*, *შრომის უსაფრთხოება*;
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც თავიანთი სწავლის შედეგებით გადიან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე, სტუდენტის შეფასებამ მოიცვას აღნიშნული უნარების შეფასებაც;
- რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა;
- მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა,რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის პერსონალის აკადემიური თავისუფლება.
- რეკომენდებულია უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რუბრიკა და მოხდეს ქულების რანჟირება;

- რეკომენდებულია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობასა და გაცვლით პროეტებში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება;
- რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა, რომელთაც ექნებათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში მითითებულ იქნას ციტირების ტექნიკის დეტალები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა.
- რეკომენდებულია, უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესორ-მასწავლებლებს სისტემატიურად აწვდიდეს ინფორმაციას სტუდენტთა ყოველ სემესტრული გამოკითხვის შედეგების შესახებ.
- მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური და ქართული უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულ საინფორმაციო ფაილში მითითებულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია;
  - სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ;
  - სასურველია, რომ მოდიფიცირდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და მიეცეს ინსტრუქციის სახე, რათა შინაარსით არ გავდეს სასწავლო კურსის სილაბუსს.
  - სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- მისასალმებელი პრაქტიკაა სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითიც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.
- მისასალმებელია საგამოცდო ნაშრომების დაშიფვრა, რაც შეფასების პროცესს უფრო ობიექტურს ხდის, ასევე მისასალმებელი პრაქტიკაა სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებისთვის პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა „Turnitin"-ის დანერგვა.
- საერთაშორისო საგრანტო პროექტებში პროგრამის პერსონალის მონაწილეობის არსებული პრაქტიკა.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვნად განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“ შედგენილია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით: საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. პროგრამით გათვალისწინებულია 120 კრედიტის სწავლება. პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული სამშენებლო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც თეორიული ცოდნის გამოყენებით შეეძლება სხვადასხვა კოსტრუქციების დაპროექტება დამოუკიდებლად. პროგრამის მიზნებად განსაზღვრული: - მოამზადოს საინჟინრო განათლების მქონე, თეორიულ და პრაქტიკულ სამშენებლო/საპროექტო და კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით - შეასწავლოს სტუდენტს მაღალი სირთულის შენობა-ნაგებობების გაანგარიშება სიმკიცეზე, სიხისტესა და მდგრადობაზე, როგორც ექპლუატაციის მთლიანი ვადის განმავლობაში, ისე მონტაჟისა და დამზადებისას, შრომისა და მასალის მინიმალური

დანახარჯებით - შეასწავლოს შენობა-ნაგებობებისა და სპეცდანიშნულების სამშენებლო კონსტრუქციების, ფუძე-საძირკვლების კონსტრუირების მეთოდები. საშენი მასალების, მშენებლობის ტექნოლოგიების, მშენებლობის ორგანიზაცია-მართვის ღრმა და სისტემური თეორიული საკითხები და პრაქტიკული მეთოდები. მშენებლობის მოდელირების კომპიუტერული სისტემების მეთოდები, ასევე მშენებლობის კანონმდებლობა და შრომის უსაფრთხოება. - მოამზადოს სამოქალაქო ინჟინერიის მაგისტრი ღრმა და სისტემური ცოდნით, კომუნიკაციის უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას. ჩამონათვალიდან სჩანს რომ პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია ინჟინერიის შესწავლის მიმართულებით და დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სხვავადსხვა საინჟინრო კურსების დაუფლება/გაღრმავებას. ასევე ჩანს მართვის მცირე კომპონენტი, რაც წარმოდგენილია მშენებლობის ორგანიზაცია-მართვის კურსით. მიზნები აგებულია სასწავლო კურესების შინაარსების მიხედვით და შესაბამისობაშია მათთან. წარმოდგენილი მიზნები შესაბამისობაშია დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან და ისინი სავსებით მიღწევადია წარმოდგენილი რესურსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა; - თვითშეფასების ანგარიში; - ოფიციალური ვებგვერდი www.bsu.edu.ge; - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გავლის შემდგომ განსაზღვრულია 10 შედეგის მიღწევა, რომლებიც განაწილებულია ცოდნა/გაცნობიერებაზე, საინჟინრო და ავტონომიური უნარის შეძენა/გამომუშავებაზე.

სწავლის შედეგების პირველი 4 ნაწილი (ცოდნა-გაცნობიერება) გადის მხოლოდ პირველ მიზანზე, მე-5 შედეგი (უნარი) გადის პირველ და მესამე მიზანზე; მე-4-:-10 შედეგი (ცოდნა გაცნობიერება, უნარი ავტონომიურობა) გადის მეორე შედეგზე; ხოლო, პირველი სამი და მე-8 შედეგი კი მესამე მიზანზე.

მოწოდებული მასალებიდან და საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები შეესაბამება სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსები თანმიმდევრულია და მეტწილად უზრუნველყოფს საბოლოო შედეგზე გასვლას. წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმიდან და თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს რომ, პროგრამა აგებულია, იმგვარად, რომ სტუდენტი იღებს საჭირო ცოდნას და ცოდნის რეალიზებას ახდენს საბოლოო ნაშრომის მომზადებაში, რაც იძლევა საშუალებას სწავლის პროცესშივე გამოვლინდეს მიღებული ცოდნის საკმარისობა. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგებუ მეტწილად გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ამასთან მეტწილად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მე-10 სწავლის შედეგის მიხედვით, პროგრამის კურსდამთავრბეული: “ სათანადო რესურსების ავტონომიურად მოძიების, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევით პროცესს“, აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებული, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეძლებს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტისთვის ახალი, ორიგინალური გზების მოძიებას, ვიდრე კვლევითი პროცეის დამოუკიდებლად წარმართვას, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად რეალისტური და მიღწევადი იყოს.

პროგრამის პერსონალის მიერ დადგენილია შედეგების სამიზნე ნიშნულები და შემუშავებულია შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც ჩაშლილია შეფასების, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზები. შედეგების განსაზღვრისათვის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს გათვალიწინებული აქვს და ასრულებს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, გამოცდების შედეგების მონიტორინგი და სხვ. რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, პროგრამის პერსონალი იღებს უკუკავშირს დამსაქმებლისგან, სტუდენტისგან და აკადემიური პერსონალისგან გამოკითხვის ჩატარების სახით; შემდგომ ხდება მიღებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი და შედეგებზე დამოკიდებულებით მიმართულებების კორექტირება. პროგრამის შედეგების შემუშავებაში, როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, მონაწილეობს ყველა დაინტერესებული პირი - იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან, დამსაქმებლისგან, კურსდამთავრებულთაგან და ა.შ. ძირითადად პროგრამის შედეგები ეხმიანება იმ მოთხოვნებს რომლებიც წაყენებულია მის მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა; - თვითშეფასების ანგარიში; - ოფიციალური ვებგვერდი www.bsu.edu.ge; - ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია პროგრამის მე-10 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად მიღწევადი და რეალისტური იყოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას: საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების მიხედვით, ის სტუდენტები რომელთაც გავლილი აქვთ სწავლის I საფეხური და შესარულებული აქვ ამ საფეხურით გათვალისწინებული კრედიტები (მინიჭებული აქვთ ბაკალავრის ხარისხი). პროგრამაზე მოხვედრისათვის ასევე აუცილებელია მისაღები გამოცდების ჩაბარება

სპეციალობასა და უცხო ენაში (საქართველოს მოქალაქეები), ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით). სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე. პროგრამის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულ ფაილში, რომელიც დაინტერესებულ პირებს აძლევს ძირითად ინფორმაციის პროგრამის შესახებ არ იკითხება დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია, სასურველია აღნიშნული ჩამატებულ იქნას წარმოდგენილ ფაილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“; - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; - სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; - ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან; - ოფიციალური ვებგვერდი www.bsu.edu.ge - https://www.bsu.edu.ge/sub-13/program/3/index.html
რეკომენდაციები: - არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ უცხო ენას აბარებს სტუდენტი და არც ამ ენის ცოდნის დონეა მითითებული. რეკომენდებულია ეს ყოველივე აღნიშნულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულ საინფორმაციო ფაილში მითითებულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა" შედგენილია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილების „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს და ითვალისწინებს პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და დოქტორანტურაში შემდგომი სწავლისათვის აუცილებელი შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას. პროგრამის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა"-ს წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად კომპონენტების ერთობლიობა 120 კრედიტს შეადგენს, აქედან 80 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება - 30 კრედიტი, ხოლო 10 კრედიტი კი არჩევით კურსებს, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია შესაბამის ცხრილში. არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი გათვალისწინებულია შესრულებულ იქნას სწავლების მე-2 სემსტრში სრულად, ამასთანავე პროგრამიდან ჩანს, რომ ჩამონათვალში მოცემულია რვა 5-5 კრედიტიანი საგანი. გაურკვეველია სტუდენტი არჩევის შემთხვევაში როგორ ისწავლის ინგლისური ენა B2.1 და ინგლისური ენა B2.2 ერთდროულად, თუკი ინგლისური ენა B2.2 სასწავლოს კურსის წინაპირობად შესრულებული უნდა იყოს ინგლისური ენა B2.1. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ძირითადად ითვალისიწინებს თანამედროვე მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“; - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; - სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; - ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან; - უსდ-ს ვებგვერდი www.bsu.edu.ge
რეკომენდაციები: - აუცილებელია გასწორდეს აღწერით ნაწილში მითითებული ხარვეზი, ინგლისური ენის სასწავლო კურსებთან მიმართებით. - გასწორდეს პროგრამაში არსებული ხარვეზი და სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობაში მიეთითოს, რომ ნაშრომის დაცვისთვის სავალდებულოა ყველა სასწავლო კომპონენტის (90 კრედიტის) გავლა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი მასალების თანახმად სტუდენტს 2 წლის (ოთხი სემესტრი) განმავლობაში აქვს საშუალება ისწავლოს:

- ძირითადი სავალდებულო სპეციალობა - 110 კრედიტი - 18 სასწავლო კურსი;

მათ შორის:

- პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი და წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობით;
- არჩევითი კურსები - 10 კრედიტი (8 სასწავლო კურსი, საიდანაც სტუდენტი აირჩევს 2 საგანს სწავლების მეორე სემესტრში).

სასწავლო კურსები შემუშავებულია აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილი წესების შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგები დადგენილი იქნა პროგრამის მიზნების განსაზღვრის შემდეგ. წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, რომლის საფუძველზე განსაზღვრულია კავშირები სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის. სასწავლო კურსებში განსაზღვრული მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შესაბამისი დონის ცოდნას და კომპეტენციებს.

ინგლისური ენის სასწავლო პროგრამებშიც არის გარკვეული ხარვეზი, რაც განხილულია წინამდებარე დასკვნის 2.2 სტანდარტში.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა მეტწილად შეფასებადია აღსანიშნავია, რომ 26 სასწავლო კურსიდან 20 სასწავლო კურსი თავისი სწავლის შედეგებით მოიაზრებს პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე გასვლას, თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებში ნაკლებად ჩანს აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება, ამიტომ რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სასწავლო კურსებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის წავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს; ასევე, ითვალისწინებს უახლეს კვლევებს

მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები რეალურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: - იგივე, რაც 2.2 სტანდარტში. - რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სასწავლო კურსებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის წავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და ინტერვიუების შედეგად ჩანს რომ პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკული, სამეცნიერო-ვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება. რაც გამოიხატება პროგრამით გათვალიწინებული სასწავლო კურსების შინაარსითა და შემადგენლობით. ასევე გამოიკვეთა, რომ დეკანატი, დეპარტამენტი, კურატორები, სამეცნიერო-კვლევითი თემების ხელმძღვანელები ხელს უწყობენ სტუდენტის ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. უნივერსიტეტში დაწესებულია სახელობითი სტიპენდიები წარჩინებული

სტუდენტებისათვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ამ საქმიანობაში. და ბოლოს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებითა და დაცვით, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს არქიტექტურული, კონსტრუქციული, ფუძე საძირკვლების, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, სპეციალური და შრომის უსაფრთხოების ნაწილები. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით სტუდენტი სიტემატიზაციას უკეთებს და აღრმავებს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა"; - სასწავლო კურსების სილაბუსები; - მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან; - ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა" ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. კურსის

სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყენებულია სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამის ფორმატში თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს. მათი შერჩევა-გამოყენება მიმართულია, როგორც სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემაზე, ისე სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, სხვადასხვა უნარების განვითარებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები და ფორმები შეესაბამება პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები და შესაბამისი აქტივობები უზრუნველყოფენ კურსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას, მთლიანობაში კი პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა"; - სასწავლო კურსების სილაბუსები; - თვითშეფასების ანგარიში; - ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული

დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ყველა სასწავლო კურსის ფინალური გამოცდა 40, ხოლო შუალედური გამოცდა 20 ქულით ფასდება, ამასთან დარჩენილი 40 ქულა პროფესორ-მასწავლებლის სურვილისამებრ ნაწილდება შუასემესტრული აქტივობების შესაფასებლად, ამ მხრივ მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის პერსონალის აკადემიური თავისუფლება. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%, ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი, ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მეტწილად მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც დეტალურადაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში, კერძოდ: ინგლისური ენა B2.1 და ინგლისური ენა B2.2 არაა დეტალიზირებული და წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, შესაბამისად რეკომენდებულია, რომ ორივე სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად გაიწეროს შეფასების მეთოდები და მათი გასაზომი შეფასების კრიტერიუმები, ასევე რეკომენდებულია საზოგადოებასთან ურთიერთობების სასწავლო კურსში დეტალურად გაიწეროს დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების

რუბრიკა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურის სილაბუსში, კერძოდ: საშენი მასალების სპეცკურსი, ნაგებობათა გამოკვლევა და გამოცდა, სეისმომედეგობა, შრომის უსაფრთხოება - შეფასებების კომპონენტებისა და წერითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს, შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდებულად მიიჩნევს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა, რომ პროგრამის პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას, შესაბამისად, რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი 26 სასწავლო კურსიდან 20 სასწავლო კურსი თავისი სწავლის შედეგებით მოიაზრებს პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე გასვლას, თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებში ნაკლებად ჩანს სტუდენტთა შეფასების პროცესში აღნიშნული უნარების შეფასების გათვალისწინება, ამიტომ სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც თავიანთი სწავლის შედეგებით გადიან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე, სტუდენტის შეფასებამ მოიცვას აღნიშნული უნარების შეფასებაც.

უსდ-ში გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, სადაც ხდება ნაშრომების დაშიფვრა, რაც ხელს უწყობს შემფასებლის მხრიდან მეტ ობიექტურობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად საჯაროდ დაცვის დროს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, არ არის დეტალიზირებული ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, ამიტომ რეკომენდებულია უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დეტალური რუბრიკა და მოხდეს ქულების რანჟირება. სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ის გადის რეცენზირებას და მოწმდება პლაგიატის პროგრამის მეშვეობით, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა. ბსუ-ში 2018-2019 სასწავლო წლიდან დაინერგა პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა „Turnitin“, რომელიც დაინსტალირდა Moodle-ს სისტემაში, უსდ-ის აკადემიური საბჭოს № 06-01/50 და №06-01/71 დადგენილებებით განისაზღვრულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების სტანდარტები.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი, ასევე როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას. პროგრამის დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დადასტურდა პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდანაც. აპელაციის მექანიზმის მიხედვით, შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ის წერილობით საჩივარს წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში, რომელიც რეაგირებისთვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს. იმ შემთხვევაში, თუ საგნის ლექტორი შეფასებას ობიექტურად მიიჩნევს, ხოლო სტუდენტი კვლავ არ დაეთანხმება მის პოზიციას, დეკანს უფლება აქვს საჩივარი განსახილველად გადასცეს კომისიას. უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილება - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილება №23 - გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ; - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილებები № 06-01/50 და №06-01/71 - პლაგიატის პროგრამისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ; - სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; - თვითშეფასების დოკუმენტი; - უნივერსიტეტის ვებ გვერდი; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, სასწავლო კურსების *ინგლისური ენა B2.1* და *ინგლისური ენა B2.2* სილაბუსში დეტალურად გაიწეროს შეფასების მეთოდები და მათი გასაზომი

შეფასების კრიტერიუმები, ასევე რეკომენდირებულია *საზოგადოებასთან ურთიერთობების* სასწავლო კურსში დეტალურად გაიწეროს დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა. ასევე გასწორდეს შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზები შემდეგ სასწავლო კურსებში: *საშენი მასალების სპეცკურსი*, *ნაგებობათა გამოკვლევა და გამოცდა*, *სეისმომედეგობა*, *შრომის უსაფრთხოება*. - სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც თავიანთი სწავლის შედეგებით გადიან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე, სტუდენტის შეფასებამ მოიცვას აღნიშნული უნარების შეფასებაც; - რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა; - მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა,რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის პერსონალის აკადემიური თავისუფლება. - რეკომენდებულია უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რუბრიკა და მოხდეს ქულების რანჟირება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - მისასალმებელია საგამოცდო ნაშრომების დაშიფვრა, რაც შეფასების პროცესს უფრო ობიექტურს ხდის, ასევე მისასალმებელი პრაქტიკაა სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებისთვის პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა „Turnitin“-ის დანერგვა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ დამატებით კონსულტაციებს.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. აღნიშნული ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები CV-ის შედგენისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, ასევე იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. ასევე უნივერსიტეტი მართავს დასაქმების ფორუმებს და რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. აგრეთვე აღნიშნული სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებს. გარდა ამისა, აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სტუდენტური პორტალისა და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსების, სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ, ასევე მოქმედი სოციალური პროგრამების, სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშირისო კონფერენციების, კონკურსების, სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი წრეების არსებობისა და ბსუ-ში არსებული სხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი თუ სამომხმარებლო რესურსების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური პორტალის საშუალებით ონლაინ რეჟიმში სტუდენტს ნებისმიერ დროს

შეუძლია მიიღოს სათანადო ინფორმაცია, სტუდენტური პორტალი გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითიც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა.

უსდ-ში სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახდენს ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, თანამშრომლობით დაინტერესებული სხვადასხვა ორგანიზაციის შემოთავაზებების შესახებ მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებში სტუდენტების ჩართვის მიზნით. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მზადდება თანამშრომლობის მემორანდუმები და იგეგმება სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში. აგრეთვე 2016 წელს ბსუ-ში გაიმართა ვალენსიის (ესპანეთი) პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის დეპარტამენტის პროფესორის საჯარო ლექცია. ასევე ფაკულტეტი სამაგისტრო საფეხურზე აქტიურად თანამშრომლობს ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებთან ERASMUS+ ის პროგრამის ფარგლებში ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მშენებლობის მიმართულებით იგზავნება სტუდენტები, შესაბამისად, **რეკომენდებულია**, მოხდეს სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობასა და გაცვლით პროექტებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება, რათა სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებმაც შეძლონ აღნიშნული შესაძლებლობებით სარგებლობა. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს უსდ-ის ადმინისტრაციამ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და დაადასტურა, რომ მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებიც ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მოიპოვონ ტექნოლოგიური ფაკულტეტის სახელობითი სტიპენდიები, ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება, რადგან სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამაზე 18:00 საათის შემდგომ მიმდინარეობს, რაც სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შეუთავსონ სწავლა და მუშაობა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სამუშაოს აღწერილობა;
- სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის

სამუშაოს აღწერილობა; • პროგრამის აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების ცხრილი; • სტუდენტური პორტალი - https://portal.bsu.edu.ge/; • თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობასა და გაცვლით პროეტებში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - მისასალმებელი პრაქტიკაა სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითიც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება

აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით, ამასთან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი. ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ბსუ-ს დოქტორანტი (მხოლოდ სასწავლო კომპონენტის შესრულების შემდეგ). ამასთან, რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა, რომელთაც ექნებათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც არ ფიქსირდება უსდ-ის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილებაში.

სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი მიხედვით, სტუდენტი სასურველი სამაგისტრო თემის შესაბამისად ირჩევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელს. აღსანიშნავია, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომში სტუდენტები წარმოადგენენ დასრულებულ სამშენებლო კონსტრუქციულ პროექტს მაღალი სირთულის შენობა-ნაგებობებზე, კერძოდ ჩარჩოვან სისტემებზე, ამაღლებულ სართულიანობსა და მაღლივ შენობებზე, თაღოვან სისტემებზე, გარსებზე, გუმბათებზე და სხვა მსგავსი ტიპის სტრუქტურებზე, გარდა პრაქტიკულისა, ნაშრომი მოიცავს თეორიულ და კვლევით ასპექტებს, ამ კონტექსტში კი სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.

უსდ-ში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესის რეგულირდება ბსუ-ის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილებით და სამაგისტრო ნაშრომის სიალბუსით, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელობის პროცესს მთელი სემესტრის მანძილზე. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს სტუდენტთან კვლევის დიზაინისა და კვლევის მენეჯმენტის საკითხების ირგვლივ, სამუშაოს ნაწილს კი სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი საათების ხარჯზე. მიუხედავად სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის არსებობისა, **რეკომენდებულია** რომ უსდ-მ განსაზღვროს ციტირების ტექნიკის დეტალები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა. ასევე სასურველია, რომ მოდიფიცირდეს სამაგისტრო ნაშრომის

სილაბუსი და მიეცეს ინსტრუქციის სახე, რათა შინაარსით არ გავდეს სასწავლო კურსის სილაბუსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილება; • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; • თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა, რომელთაც ექნებათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება; - სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში მითითებულ იქნას ციტირების ტექნიკის დეტალები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ; - სასურველია, რომ მოდიფიცირდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და მიეცეს ინსტრუქციის სახე, რათა შინაარსით არ გავდეს სასწავლო კურსის სილაბუსს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ხორციელდება აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის მიერ. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიებული წესის მიხედვით აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად, კონკურსის წესით, რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ. მოწვეული პერსონალის შერჩევა ასევე ხდება კონკურსის წესით საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური (ოთხი პროფესორი, ორი ასოცირებული პროფესორი, სამი ასისტენტ პროფესორი და ერთი ასისტენტი) და თერთმეტი მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელი რესურსის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენცია საიმისოდ, რომ უზრუნველყონ „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის" საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, მათ მიერ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილია მოხსენებები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებიდან და პერსონალის CV-ებიდან. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დგინდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება აკადემიურ პირთა სავალდებულო წლიური დატვირთვის ოდენობა კატეგორიების მიხედვით. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი დატვირთვების ეკრანის საფუძველზე და ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის მიერ -ხორციელდება აღნიშნული საათების გადანაწილება კონკურსის საფუძველზე შერჩეულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე.მის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის

ბრძანება. აღნიშნული პერსონალის სავალდებულო აკადემიური დატვირთვის მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორია ბსუ-სთან აფილირება, რომელიც რეგულირდება დასაქმებულსა და ბსუ-ს შორის ძირითადი სამუშაო ადგილის განსაზღვრის შესახებ წერილობითი შეთანხმებით (აღნიშნული შეთანხმება აისახება შრომით ხელშეკრულებაში შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისთანავე).

ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირს ბსუ-სთან აფილირების საკითხის გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეს ,,ა“, ,,ბ“ ან ,,გ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა. ამათგან ,,ა“ და ,,ბ” კატეგორიის აკადემიური დატვირთვის (მათ შორის სააუდიტორიო, საკონსულტაციო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა აქტივობის) შესრულება მოითხოვს ამ პერსონალის ბსუ-ს სამუშაო საათებში (ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით - კვირაში არანაკლებ 5 დღისა და არაუმეტეს 40 საათისა) სამუშაო ადგილზე ყოფნას.

,,ა“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს განესაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- პროფესორს - 280 საათი;
- ასოცირებულ პროფესორს - 330 საათი;
- ასისტენტ-პროფესორს - 350 საათი;
- ასისტენტს - 370 საათი;

აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველი არის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინადადებებისა და დეკანის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პროექტი.

პროგრამის და პროგრამაში გაერთიანებული სასწავლო კურსების ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ფაკულტეტის ადმინისტრაცია (ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) და დამხმარე პერსონალი (დეკანის ოფისის და დარგობრივი დეპარტამენტების სპეციალისტები, ბიბლიოთეკარი), რომელთა შერჩევა ხდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 03 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების

თაობაზე"; - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის № 04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი"; - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV (ბსუ-ს ვებგვერდი), www.bsu.edu.ge; - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №3 გადაწყვეტილება ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი"; - აკადემიური და მოწვეული პირების ინდივიდუალური დატვირთვები; - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები; - დამხმარე პერსონალის CV.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის განვითარებას და ხელშეწყობასთან ერთად, ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწა, რისთვისაც ცალ-ცალკე შემუშავებულია ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესები

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“,რომლის მთავარი პრინციპებია:

ა) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნ-ველყოფა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტე-რესებულ მხარეთა ჩართულობა;

გ) პერსონალის შეფასებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა;

დ) სასწავლო რესურსებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;

ე) სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

ვ) პერიოდული და ეფექტური მონიტორინგის, შეფასების და რეაგირების სისტემის გაუმჯობესება.

ხარისხის პოლიტიკის პრინციპების რეალიზების მექანიზმებია:

ა) სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურები;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები;

გ) ბსუ-ს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების პროცედურები;

დ) სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები;

ე) სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროცედურები;

ვ) პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება.

მოქმედი „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუ-დენტთა კმაყოფილების კვლევის, მათი ინტერვიუირებისა და სხვა აკადემიური აქტივობის შედეგებს. ასევე, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვას, სამაგისტრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას, სამეცნიერო სემინარების მუშაობაში ჩართულობას, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობას, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობას და სხვ.

აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერ-სონალის არჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას. „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო 2017 წლის 27 ივლისის №4 ა „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 16 აგვისტოს №07-01/24 გადაწყვეტილებების საფუძველზე, პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის დროს კანდიდატმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო-პედაგო-გიური საქმიანობის პერიოდში სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლის საფუძველზე საკონკურსო კომისია შეფასების ფორმაში აფიქსირებს დასაბუთებას კონკურსანტის ვაკანსიასთან შესაბამისობის შესახებ.

ბსუ ხელს უწყობს თავის თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, ამ მიზნით უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების ან არასამთავრობო საგანამანათლებლო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და ღონისძიებებში, სპეციალური კურსების გავლას და სხვ.

„სამოქლაქო და სამრეწველო მშნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული 22 პერსონალიდან 11 ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირია, რომლებიც სისტემატურად აქვეყნებენ ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, ტრენინგებსა და პროექტებში, რაც დასტურდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ებით. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ჩართული არის საგრანტო პროექტებში, კერძოდ

- EU, Erasmus+, HEIFYE # 2017 – 2269/008-001 "HIGHER EDUCATION INSTITUTIONS FOR YOUTH ENTREPRENEURSHIP"
- EU, 530244-TEMPUS-1-2012-1-SE-TEMPUS-JPCR Modernizing higher engineering education in Georgia, Ukraine and Uzbekistan to meet the technology challenge ENGITEK. 2012-2015 „უმაღლესი საინჟინრო განათლების მოდერნიზაცია საქართველოში, უკრაინასა და უზბეკეთში ტექნოლოგიური გამოწვევების საპასუხოდ“. ვიზიტი პროექტის ფარგლებში იტალია. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი Politechnico de Torino – POLITO, 2013
- EU,516613-TEMPUS-1-2011-1-BE-TEMPUSJPHES“ Building capacity for University-Enterprise partnerships towards competency based training in Armenia, Georgia and Ukraina. 2011-2014
- ERASMUS + საგრანტო პროექტის - 573965-EPP-1-2016-1-SE-EPPKA2-CBHE-JP გამარჯვებული - „Enhancing innovation competences and entrepreneurial skills in engineering education (InnoCENS)“ („ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების განვითარება საინჟინრო სწავლებაში “) 2016;
- ERASMUS-ის პროგრამა BAKIS-ის საგრანტო პროექტის გამარჯვებული. Erasmus Mundus Action. Subject Area of research: Sustainable Characterization of a Multilayer Façade. Universidad del País Vasco (UPV/EHU), Spain. 2014 – 2015.
- ERASMUS-ის პროგრამა ELECTRA-ს საგრანტო პროექტის გამარჯვებული. პროექტის ფარგლებში სამუშაო ვიზიტი ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ვალენსია ესპანეთი. Universidad Politechnica de Valencia.Spain; 2015 წ.
- ISTC, project G-725, 01.12.2005-30.04.2008, Regeneration of Na- Cation exchangers by Sulfate – Natrium Solution and recycling of spent regenerating solution;
- EU-TACIS BSIF (Black Sea Investment Facility) project “ Reabilitation of Water and Waste Water Systems in Kobuleti, Georgia.” April-Oktober 2006.
- 2018. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსი. გრანტი. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს #12 დადგენილება 14.02.2018, „გრუნტის მაღალწყლიან ზონებში მეხდაცვის ფიზიკური პროცესების კვლევა“

აღნიშნულ საგრანტო პროექტებში განხილული იყო საინჟინრო კონსტრუქციების, საინჟინრო ინოვაციების, შენობების ენერგოეფექტურობის, წყალმომარაგების, განახლებადი ენერგიის გამოყენების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხები [12].

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის განვითარებისათვის უნივერსიტეტი ფაკულტეტების მიხედვით ახორციელებს თანხების გამოყოფას, რომლითაც ფინანსდება კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვა მსგავს ღონისძიებაზე მონაწილეობის დაფინანსება
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; - ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/93 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება №04 (კოდიფიცირებული) „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“; - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასება; - ინფორმაცია ტრენინგების შესახებ; - ბსუ-ს ბრძანება №02-02/43 „2017-2018 წლიდან ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ბსუ-სთან აფილირების განსაზღვრის შესახებ“; - პერსონალის დოკუმენტაცია; - საგრანტო პროექტებში მონაწილე პირთა CV;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - საერთაშორისო საგრანტო პროექტებში პროგრამის პერსონალის მონაწილეობის არსებული პრაქტიკა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ინჟინერიისა და მშენებლობის და ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტებში. სასწავლო (სალექციო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობა) მეცადინეობების ჩატარებისათვის მოქმედებს კაბინეტ-ლაბორატორიები, როგორიცაა მასალათაგამძელობისა და სამშენებლო კონსტრუქციების ლაბორატორია, გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების ლაბორატორია, ბსუ-ს აგარული და მემბრანული ტექნოლოგიების კვლევითი ინსტიტუტი, ფაკულტეტის კომპიუტერული კლასები, ინოვაციების ცენტრი, კომპანიებთან - შპს „ანაგი", შპს „ორბი ჯგუფი"", შპს "აჭარსპეცპროექტი", "მონოლითი 2005"; შპს BWC, შპს „ბათუმიწყალი"; შპს "ბიემსი ჯორჯია" შპს "GIMG"; მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და რესურსებით, საქართველოს გეოლოგიური სამსახურის აჭარის განყოფილებასთან, გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ მონაცემებს, რომელსაც იყენებენ სამაგისტრო და კვლევითი ნაშრომების შესრულებისას. ლაბორატორიებსა და პრაქტიკის ობიექტებზე დაცულია უსაფრთხოების წესები, რომლებსაც სტუდენტები ეცნობიან სამუშაოების დაწყებამდე [2]. ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს FABLAB-ის ლაბორატორია [3,4]. ამ ლაბორატორიაში შესაძლებელია საინჟინრო ნაგებობების, კონსტრუქციების მოდელირება, მაკეტირება და დეტალირება, ისეთი მოწყობილობებით როგორიცაა ლაზერული მჭრელი Epilog Fusion 32-40; 3D პრინტერი Makerbot Z18; 3D პრინტერი Felix 3.0; 3D სკანერი 3D Sence; 3D ჩარხი Sicono CNC Sicono CNC; სასერი პლოტერი GRAPHTEC; ლაბორატორიული და ექსპერიმენტული მუშაობისთვის ფაკულტეტი აქტიურად იყენებს ბსუ-ს მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ექსპერიმენტულ საამქროს, ამ საამქროში განთავსებულია

შემდეგი მანქანა-დანადგარები: საფრეზი, სახარატო, საღარავი ჩარხები და საშემდუღებლო აპარატი.

ფაკულტეტზე შექნილია ინოვაციების ცენტრი, რომელიც არის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, იგი ჩამოყალიბდა Erasmus+"-ის საგრანტო პროექტის-ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში („InnoCENS Project"-Enhacing Innovation Competences and Entrepreneurial Skills in Engineering Education) - ფარგლებში [5].

ბსუ-ს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ემსახურება სათანადო ინვენტარით, წიგნადი ფონდითა და სამეცნიერო პერიოდიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და ელექტრო-ნული საბიბლიოთეკო რესურსები:

- EBSCO Publishing (http://search.epnet.com)
- Cambridge University Press (http://journals.cambridge.org)
- Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing.org)
- BioOne (http://www.bioone.org)

(დამატებითი ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ იხილეთ ბმულზე http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html)

ასევე, ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ინჟინერიის მიმართულებას გააჩნია ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული დარგობრივი ლიტერატურა და სხვა მასალა (მათ შორის ელექტრონული სალექციო მასალები), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პირველკურსელებს სასწავლო წლის დასაწყისში.

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით გათვალისწინებული დარგობრივი ლიტერატურა [6] და ელექტრონული რესურსი [7] უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სასწავლო კორპუსები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი [8] და ცენტრალიზებული გათბობის სისტემებით [9], სველი წერტილებით [10], სხვადასხვა კორპუსებში მოწყობილია სველი წერტილები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით კორპუსებში განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები [11], მითითებულია ტელეფონის ნომრები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი [12]. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ

მტკიცებულებები/ინდიკატორები - მემორანდუმები - უსაფრთხოების წესები ლაბორატორიაში - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №02 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ,,ბსუ ფაბლაბი“ (FAB LAB BSU) დებულების დამტკიცების თაობაზე“ - Fablab-ის ვებ-გვერდი: www.facebook.com/fablabbsu - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №08 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ - ბსუ–ს ბიბლიოთეკა, http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html - ელექტრონული წიგნები, https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - მნიშვნელოვნად განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „სამოქალაქო და სამრეწველო მშნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ღირებულება შეადგენს 2250 ლარს, მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა 20 სტუდენტით [1]. ბსუ-ში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების - ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, კომპიუტერული ტექნიკის, სასწავლო ლაბორატორიების, სასწავლო მასალების, სწავლის პროცესისა და სამეცნიერო მუშაობისათვის აუცილებელი სხვა საქონლისა და მომსახურების შეძენის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები [2].
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის №02 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებითა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით. ბსუ-ს ხარისხის პოლიტიკა გამოხატავს უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების ძირითად მიმართულებებს, წარმოადგენს ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის სახელმძღვანელოს და ეფუძნება უწყვეტობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს, ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტ შეფასება-განვითარებას, მდგრადობას, შიდა ხარისხის კულტურის ზრდას და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, დამსაქმებლები და სხვ.) მონაწილეობას. შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველეყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის

დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ამასთან, პროგრამის რეაკრედიტაციისა და თვითშეფასების პროცესში პრაგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რჩევები.

ბსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობაზე. ხარისხის შიდა შეფასების მიზნით გათვალისწინებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულების და შრომის ბაზრის კვლევის, ინსტრუმენტების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწა.

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მონიტორინგის შედეგად გარკვეულ სასწავლო კურსებში შეიცვალა ლიტერატურა, ასევე შეიცვალა შეფასების კომპონენტები და მეთოდები, და გარკვეული ცვლილებები განხორციელდა სილაბუსების თემატიკაში. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ბსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები https://bsu.edu.ge/sub-

27/page/2-62/index.html - თვითშეფასების დოკუმენტი; - უნივერსიტეტის ვებ გვერდი; - ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა, შიდა შეფასების გარდა, იყენებს ხარისხის გარე შეფასების მექანიზმსაც, რომელიც ეფუძნება ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“ და ,,აკრედიტაციის სახელმძღვანელოს“. როგორც უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის, ასევე თვითშეფასების წლიური ანგარიში წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ასევე აისახება ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშშიც. საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა

და სხვ.), განიხილავს მას და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით. გარე შეფასების ფარგლებში მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და მათი მიღწევის კომპონენტების, სწავლის და სწავლების მეთოდების გარე განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებელი. საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების ფარგლებში მოხდა საგანმანთლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდების გარე განხილვა დამსაქმებლებთან. განხილვის დროს დამსაქმებლებმა მაღალი შეფასება მისცეს პროგრამას და მის კურსდამთავრებულებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html - დამსაქმებელთა გამოკითხვა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და

განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით ტარდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა. პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა (სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და სხვ.) და გარე (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვ.) შეფასების მექანიზმების გამოყენებით, სისტემატურად ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. რეკომენდაციები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. ასევე, განიხილება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც, შეიძლება, გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკვალიფიკაციო ნაშრომების შესრულების მონიტორინგი. მიმდინარე და საბოლოო შეფასების მონიტორინგი ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მონიტორინგის შედეგად გარკვეულ სასწავლო კურსებში შეიცვალა ლიტერატურა, ასევე შეიცვალა შეფასების კომპონენტები და მეთოდები, და გარკვეული ცვლილებები განხორციელდა სილაბუსების თემატიკაში. ამასთან, ნიშვნელოვანია, რომ უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესორ-მასწავლებლებს სისტემატიურად აწვდიდეს ინფორმაციას სტუდენტთა ყოველ სემესტრული გამოკითხვის შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესორ-მასწავლებლებს სისტემატიურად აწვდიდეს ინფორმაციას სტუდენტთა ყოველ სემესტრული გამოკითხვის შედეგების შესახებ. - მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური და ქართული უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
„სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“ მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა, ვახტანგ ბალავაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



სახელი, გვარი, ხელმოწერა, მერაბ ბარათაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა, ნიკა გიგაური

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა